



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სსიპ)

შეფასების თარიღ(ებ)ი
11,12,13/04/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
1.06.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია Food Technology
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი Doctor of Food Technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სურსათის გადამამუშავება - 0721
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	30
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ სანიკიძე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, სსიპ - სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
--	--

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ბერეჟიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ხითარიშვილი - შპს ვიტეკულტურის აკადემია, მოზარდთა ტრენინგ პროგრამები მევენახეობასა და მეღვინეობაში, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“ ახალია და მისი შექმნა მოხდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული პროგრამის - „ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია“ საფუძველზე.

პროგრამის თვითშეფასების პროცესს ახორციელებდა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 7 წევრისაგან: აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამების კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, დამსაქმებელი.

პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ მიზნები შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტების მისიას, მათგან გამომდინარე მიზნებს და სტრატეგიას. პროგრამა ეხმიანება ქვეყნის წინაშე მდგომ უმთავრეს გამოწვევას განავითაროს ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრის მომზადებას კვლევითი საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის.

სადოქტორო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ მიზნებია:

1. დოქტორანტმა მოახდინოს ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიის კვლევის მეთოდების შესახებ ცოდნის სისტემატიზირება, აგრეთვე შეძლოს დარგში გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდების, პრინციპების, ანალიტიკური მეთოდების მოდიფიცირება, მოახდინოს სამეცნიერო კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის კლასიფიცირება და ასახვა სამეცნიერო ნაშრომში.
2. დოქტორანტს ჩამოუყალიბოს სწავლების თანამედროვე მეთოდების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების გამოყენების უნარი.
3. დოქტორანტმა შეძლოს:
 - 3.1 საკუთარი კვლევისთვის საჭირო მომიჯნავე დისციპლინის უახლესი მიღწევების, ტენდენციებისა და შედეგების მოძიება- გაანალიზება;
 - 3.2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური საქმიანობის წარმართვა;

4. დოქტორანტმა შექმნას ინოვაციური კვლევის გეგმა და კვლევითი ნაშრომი ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიაში, მოახდინოს კვლევის მეთოდებში არსებული პრობლემების ინიცირება და დასახოს მათი გადაჭრის გზები;

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის კვალიფიკაცია.

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული 30 კრედიტი მოიცავს: 10 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსი (10 კრედიტის არჩევა დოქტორანტს შეუძლია გეგმაში წარმოდგენილი 5 სასწავლო კურსიდან) 20 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსი. პროგრამაზე სწავლების ენა - ქართული.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მისი განხორციელება ხდება უნივერსიტეტთან აფილირებული 10 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალით და ფინანსდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N227355, 06/03/2022; N239557 09/03/2022; N352844 05/04/2022 წლის ბრძანებების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თამარ სანიკიძე -(თავმჯდომარე); მალხაზ ბერეჟიანი - წევრი; ირმა ქურდაძე - წევრი; ანა ხითარაიშვილი - დამსაქმებელი წევრი; თათია უბერი - წევრი.

„სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეფასება განხორციელდა 2022 წლის 13 აპრილს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. თელავში, 2022 წლის 11 და 12 აპრილს.“

ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა „სასურსათოს ტექნოლოგია“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, იმუშავა დაწესებულების მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით.

ბრძანების საფუძველზე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განახორციელა უშუალოდ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა. თუმცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მიმდინარეობდა ჰიბრიდულ რეჟიმში, ზუმის საშუალებით აქტიურად ჩართული იყო დისტანციურად კიდევ ორი ექსპერტი. ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები და ინტერვიუები გაიმართა: ფაკულტეტის დეკანთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; ბიბლიოთეკის და ლაბორატორიების მმართველებთან. მოხდა უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალიერება და

სასწავლო/პრაქტიკული ობიექტებზე ვიზიტი უშუალოდ დამსაქმებლებთან. სრულად დათვალერებული და გაცნობილი იქნა 3 საწარმო/ბიზნეს ოპერატორი/დამსაქმებელი. აქედან ორი იყო ღვინის საწარმო ხოლო ერთი ხილის და წველების გადამამუშავებელი საწარმო ობიექტი. ამის შემდგომ განხორციელდა დისტანციურად გასაუბრებების სესიები, რომლის დღის წესრიგი წინასწარ იქნა შეთანხმებული ექსპერტთა ჯგუფთან. ინტერვიუები გაიმართა: სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან (ზუმში ჩაერთო 6 თანამშრომელი); პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან (ზუმში ჩაერთო 7 თანამშრომელი); დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან (ზუმში ჩაერთო 2 თანამშრომელი); პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან (ზუმში ჩაერთო 2 თანამშრომელი); აკადემიურ პერსონალთან (ზუმში ჩაერთო 9 თანამშრომელი); სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ზუმში ჩაერთო 9 მონაწილე); დამსაქმებლებთან, პრაქტიკის, სტაჟირების განმხორციელებლებთან (ზუმში ჩაერთო 4 მონაწილე); მოწვეულ პერსონალთან (ზუმში ჩაერთო 4 მონაწილე).

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
 - 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
 - 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.3 სასწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.4 პრაქტიკული, ამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.6 სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
 - 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
 - 4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 4.3 მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
 - 5.1 შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 5.2 გარე ხარისხის შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

- გადაიხედოს პროგრამის კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა და მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება შესაბამისი დარგის უახლესი გამოცემების შესაბამისად.
- პროფესორის ასისტენტობის კურსის თემატიკა ჩაეშენოს სხვა კურსებს ან სავალდებულო კურსების ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ბლოკში იმ სტუდენტებისათვის, ვისაც აქვს გარკვეული საჭიროებები ამ მიმართებით.
- უსდ-ს მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო სალიტერატურო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს/შეიმუშაოს სტრატეგია საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლების/კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
- სადოქტორო პროგრამის სრულფასოვანი ანალიზისა და შეფასებისათვის უნდა მოხდეს პროგრამის შეფასება გარე ექსპერტების (ქართველი ან უცხოელი) მიერ.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაიხვეწოს და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაკორექტირდეს მეორე მიზანი
- სასურველია უსდ-მ მეტი მნიშვნელობა და დატვირთვა მისცეს კვლევების თვისობრივ/ანალიტიკურ ნაწილს და არ იყოს მშრალი სტატისტიკა მხოლოდ;
- სასურველია შრომის ბაზრის კვლევის შედეგების წარმოდგენა სტატისტიკური-რაოდენობრივი (თვისობრივი) მახასიათებლებით
- სასურველია სტუდენტების - მომავალი დოქტორანტების ჩართულობა პროგრამის, კერძოდ საკვლევი თემატიკის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.
- სასურველია მემორანდუმებში მეტად იყოს ხაზგასმული საწარმოთა მიერ პროგრამის მხარდაჭერის მზაობა დროის დაშორებულ პერსპექტივაშიც, რაც აძლიერებს პროგრამის მდგრადობის ტენდენციას.
- სასურველია, რომ დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამის სილაბუსები და საერთაშორისო გამოცდილებაზე მოხდეს ორიენტირი, გასათვალისწინებელია მითითებული საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება და სადოქტორო პროგრამების სპეციფიკა.
- სასურველია ლიტერატურის მითითების ტექნიკა დაიხვეწოს და შეირჩეს ერთი სტილი რომელსაც ყველა პროფესორი შეძლებს, რომ დაიცავს.
- სასურველია ლიტერატურას დაემატოს, განსაკუთრებით კი არჩევით საგნებში, თანამედროვე ტენდენციების საკითხებში ბოლოდროინდელი კვლევები, რომელიც ონლაინ სამეცნიერო პლატფორმებზეა, ეს ეხება განსაკუთრებით ქვევრის ღვინობებს, რომელზედაც ბოლო პერიოდში დაწყებულია საერთაშორისო ასპარეზზე კვლევების ჩატარება.

- სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სასმელების ტექნოლოგიაში“ დაემატოს მონაცემთა დამუშავების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები;
- სასურველია, რომ განახლდეს ყველა მემორანდუმი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
- სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში ასევე ჩაერთოს სხვა სასწავლო კურსების პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ასისტენ პროფესორები რომელთან გამოცდილებაც და თანამედროვე ხედვები ძალზედ მნიშვნელოვანია მომავალი დოქტორანტებისათვის.
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, ასევე უნივერსიტეტის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია რომ მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი პროფესორების სემინარები და ლექციები ჩატარდეს ონლაინ რეჟიმში, რაც ძალიან დაეხმარებათ სტუდენტებს მიიღონ საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება.
- სასურველია მაქსიმალურად მოხდეს გამოყენება საერთაშორისო თანამშრომლობების პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის ჩართვით.

სასურველია კვლევითი კომპონენტის დაფინანსების გაზრდა ან საგრანტო დაფინანსებების მოზიდვა კვლევითი კომპონენტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

რეკომენდაციების და რჩევების ჩამოყალიბების და ექსპერტების ჯგუფის მიერ შეჯერების შემდგომ, უსდ-ს მიერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა მსჯელობის შედეგად, ძალაში დატოვა შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები, რომლის გაუმჯობესებაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწას და სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა Erasmus + პროგრამები

უსდ-ს განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მევენახეობა და მეღვინეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს, მეღვინეობის როგორც ტექნოლოგიური, ასევე სამეცნიერო/კვლევითი მიმართულება წარმოადგენს სწრაფად განვითარებად მიმართულებას, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, რაც ითვალისწინებს მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი ღვინოების წარმოებას. სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმის მიხედვით მნიშვნელოვანია მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი ღვინოების წარმოება და ასევე მსოფლიო ბაზრებზე ქართული ღვინის გაყიდვების მასშტაბების გაზრდა. ამისათვის სახელმწიფოს ინტერესშია ჰყავდეს საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრები, რისთვისაც მნიშვნელოვანია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც დააკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს განათლების და ტექნოლოგიების სფეროში. რაც ასევე აწინაურებს და აქტუალობას მათებს „მევენახეობა და მეღვინეობის“ სადოქტორო პროგრამას.

პროგრამა უნდა იყოს მიმართული აღზარდოს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციალისტები, შემდგომში დარგში სამეცნიერო თუ პრაქტიკული განვითარების კუთხით. პროგრამის მიზანი უნდა იყოს მოამზადოს - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, არსებული და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა შესწავლა/გადახედვა უსდ თვითშეფასების ანგარიშის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის, სადაც პროგრამის მიზნები სწორად

ასახავს და ეხმაურება ქვეყნის მეღვინეობის დარგში საჭირო კადრების მომზადებას და მეტაქცენტს აკეთებს პედაგოგიური საქმიანობის უნარის მექანე მეცნიერ/მკვლევარის მომზადებაზე. აღნიშნულის ინდიკატორად მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“ ჩამოყალიბებული პროგრამის მიზანი, გაწერილი მოთხოვნების და თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშში სადოქტორო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ისე, რომ ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრის მომზადებას კვლევითი საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის.

უსდ-ს პროგრამის მიზანი გაწერილი აქვს ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. დოქტორანტმა მოახდინოს ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიის კვლევის მეთოდების შესახებ ცოდნის სისტემატიზირება, აგრეთვე შეძლოს დარგში გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდების, პრინციპების, ანალიტიკური მეთოდების მოდიფიცირება, მოახდინოს სამეცნიერო კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის კლასიფიცირება და ასახვა სამეცნიერო ნაშრომში.
2. დოქტორანტს ჩამოუყალიბოს სწავლების თანამედროვე მეთოდების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების გამოყენების უნარი.
3. დოქტორანტმა შეძლოს:
 - 3.1 საკუთარი კვლევისთვის საჭირო მომიჯნავე დისციპლინის უახლესი მიღწევების, ტენდენციებისა და შედეგების მოძიება- გაანალიზება;
 - 3.2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური საქმიანობის წარმართვა;
4. დოქტორანტმა შექმნას ინოვაციური კვლევის გეგმა და კვლევითი ნაშრომი ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიაში, მოახდინოს კვლევის მეთოდებში არსებული პრობლემების ინიცირება და დასახოს მათი გადაჭრის გზები;

უნდა აღინიშნოს ის, რომ მეორე მიზანი : დოქტორანტს ჩამოუყალიბოს სწავლების თანამედროვე მეთოდების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების გამოყენების უნარი, ნაკლებად პასუხობს და ასახავს პროგრამის მიზანს და უფრო ეხმიანება სასწავლო კურსის „პროფესორის ასისტენტობა“ მიზანს.

მოცემული მიზნების მისაღწევად უსდ-ს დაეხმარება თანამედროვე მატერიალური ტექნიკური ბაზა, ასევე ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, მჭიდრო კავშირები

ევროკავშირის სტიპენდიის პროგრამებთან - ERASMUS; მიზნების მიღწევაში ასევე დაეხმარება უნივერსიტეტს დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

პროგრამის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია ბაზრის კვლევის როგორც სტატისტიკური ისე თვისობრივი ანალიზი, რომელიც პროგრამის თანამედროვე კვლევის საკითხების გაწერაში დაეხმარება უნივერსიტეტს, თუმცა ბაზრის კვლევის ანალიზი არ იქნა წარმოდგენილი სრულად, იყო მხოლოდ სტატისტიკა და ნაკლებად ანალიტიკა, თუმცა ბაზრის მოთხოვნების და საჭიროებების გაანალიზება მოხდა გასაუბრების დროს დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის გაანალიზებისას დადგინდა შემდეგი:

პროგრამის მიზნები თავისი ოთხივე მიმართულებით გადის და აკმაყოფილებს სწავლის შედეგებს, რომელიც უსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, რაც ითვალისწინებს: ცოდნა გაცნობიერებას, უნარს, ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას. (7 შედეგი).

პროგრამის მიზნების მისაღწევად არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას (არჩევითი კურსი) ცალკე საგნად გამოყოფა ნაკლებად არის რელევანტური, სასურველია ისეთი კურსის დამატება, რომელიც გარდა კვლევის მეთოდებისა, სტუდენტს დაეხმარება მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და შედეგების სრულფასოვნად გადმოცემაში, როგორცაა სტატისტიკური ანალიზი, კვლევის შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, რაც მიღებული და საჭირო პრაქტიკაა მსოფლიოში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ნათლად ჩამოყალიბების მიზნით ფაკულტეტი ატარებდა კონსულტაციებს დამსაქმებლებთან და ამ სფეროს განვითარებით დაინტერესებულ პიროვნებებთან, რაც საშუალებას იძლევა პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს გუნდური მიდგომის პრინციპით.

მთლიანობაში პროგრამის მიზნების განხორციელება მიმართულია თუ რა კომპეტენციისა და უნარების სპეციალისტის/მკვლევარის ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული სწავლება-სწავლის პროცესი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

<p>შედეგების ჩათვლით</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სადოქტორო სასწავლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ დამსაქმებლებთან მემორანდუმები და კითხვარები ○ საერთაშორისო ურთიერთობების ფოლდერი - ხელშეკრულებები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან ○ მატერიალური ტექნიკური ბაზა ○ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
<p>უნივერსიტეტის ვებ გვერდი</p> <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია დაიხვეწოს და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაკორექტირდეს მეორე მიზანი; • სასურველია უსდ-მ მეტი მნიშვნელობა და დატვირთვა მისცეს კვლევების თვისობრივ/ანალიტიკურ ნაწილს და არ იყოს მშრალი სტატისტიკა მხოლოდ
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის <p>ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა Erasmus + პროგრამები</p> <p>უსდ-ს განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის სწავლის შედეგები:

- შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. სწავლის შედეგად მიღწეული ცოდნა, გაცნობიერება, უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა ფორმულირებულია მიზნების იდენტიფიკაციის საფუძველზე - სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:
 1. ახდენს ცოდნის სისტემატიზებას ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიაში გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდების, პრინციპების, ანალიტიკური მეთოდების შესახებ. განაზოგადებს სასმელების ტექნოლოგიაში და მომიჯნავე დისციპლინაში კვლევის უახლეს მეთოდებს, რაც იძლევა დარგში ცოდნის გაფართოებისა და კვლევის ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას.
 2. განსაზღვრავს და ახდენს სასმელების ტექნოლოგიური პროცესების კლასიფიცირება - მოდიფიცირებას, კონკრეტული სასწავლო კურსის შესატყვისი სწავლების სტრატეგიების, მეთოდების შერჩევას და მათ გამოყენებას.
 3. აქვს შესაბამისი ცოდნა ორიგინალურ სამეცნიერო კვლევით პროდუქტის შესაქმნელად.
 4. ქმნის ინოვაციური კვლევის გეგმას და კვლევით ნაშრომს ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიაში, ახდენს კვლევის მეთოდებში არსებული პრობლემების ინიცირებას და სახავს მათი გადაჭრის გზებს, განაზოგადებს სასმელების ტექნოლოგიაში კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების შედეგებს და შესაბამისად შეაქვს სიახლე ტექნოლოგიაში მიმდინარე პროცესებში.

5. ახდენს ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების ინიცირებას სასმელების წარმოების, აგრეთვე მომიჯნავე სფეროს კვლევით საქმიანობაში;

6. დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ახორციელებს სასმელების ტექნოლოგიის სფეროს უახლოეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით სამუშაოებს.

7. განსაზღვრავს ეთიკის ნორმებს და მისი დაცვით ახორციელებს კვლევით სამუშაოებს/ექსპერიმენტებს, ახდენს სწავლისა და სწავლების თეორიების პროფესიულ პრაქტიკაში პილოტირება-განვითარებას.

- არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; სწავლის შედეგები გაზომვადია თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასების სისტემის გამოყენების საშუალებით, რეალისტურობა და მიღწევადობა განპირობებულია არსებული სასწავლო ბაზის და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენებით.

- შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს; სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების ფართო შესაძლებლობებს. მიღწეული კვალიფიკაცია და კომპეტენცია არ ზღუდავს დასაქმების შესაძლებლობას დარგის სპეციფიკით და უზრუნველყოფს მონათესავე დარგებში დასაქმების შესაძლებლობას. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსი, ამ სფეროს განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა (საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილება). ანალოგიური პროგრამების განმახორციელებლად დასახელებულია: სტელენბოშის უნივერსიტეტი - სამხრეთ აფრიკა, ბორდოს უნივერსიტეტი - საფრანგეთი, სამხრეთ დაკოტას სახელმწიფო უნივერსიტეტი და კლემსონის უნივერსიტეტი - აშშ, პუნეს უნივერსიტეტი - ინდოეთი, ბარსელონას უნივერსიტეტი - ესპანეთი, საქართველოდან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

პროგრამის სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებისათვის ჩატარებულია ანალოგი პროგრამების ანალიზი, შრომის ბაზრის კვლევა

ზოგადად, შრომის ბაზრის კვლევა უპირველეს ყოვლისა ეფუძნება (მაგრამ არ იზღუდება ამით) რეგიონის პოტენციალს, არსებული და პერსპექტიული საწარმოების მოთხოვნებს უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებისადმი. მართალია შრომის ბაზრის მოთხოვნები როგორც რეგიონისთვის, ასევე მთლიანად ქვეყნისთვის თვისობრივად დამაჯერებელია, შრომის ბაზრის ანალიზისთვის განხორციელებული აქტივობა (ურთიერთქმედება საწარმოებთან, გამოკითხვები) არ არის შეჯერებული ზოგად რაოდენობრივ-სტატისტიკურ შედეგამდე.

- შემუშავებაში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა), პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ

დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამის შემუშავებაში ჩართული სპეციალისტები ზოგჯერ ერთდროულად წარმოადგენენ აკადემიურ პერსონალს, ანალოგიური პროგრამის კურსდამთავრებულებს და მოქმედ საწარმოთა სპეციალისტებს უმაღლესი მენეჯმენტის ჩათვლით - დამსაქმებლების სტატუსით. ნაკლებად იკვეთება სტუდენტების - მომავალი დოქტორანტების ჩართულობა პროგრამის, კერძოდ საკვლევით თემატიკის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:
 - პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად, შესაბამისი სასწავლო კომპონენტების მიხედვით, სწავლის შედეგების სამი გრადაციის (შესავალი, განმავითარებელი და მაფორმირებელი) გათვალისწინებით.
 - სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
 - სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; კომპლექსური შეფასების მეთოდები გამოიყენება სასწავლო, ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების, სემინარების, დისერტაციის დაცვის ეტაპებზე. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების სავალდებულო ეტაპებია კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი -2, წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა. კოლოკვიუმებს კრედიტი არ ენიჭება, მაგრამ სავალდებულო წინაპირობაა დოქტორანტის დაცვაზე დასაშვებად.
 - პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება; სწავლის შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება გულისხმობს კომპეტენციების მიხედვით ცოდნა-გაცნობიერების და უნარების შეფასებას თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიხედვით.
 - პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; აკადემიური პერსონალი, ძირითადად თავად იყო ჩართული პროგრამის - მათ შორის სასწავლო კურსების, შესაბამისი სილაბუსების და შედეგების შეფასების მეთოდების მომზადებაში, მოწვეული პერსონალი ავლენს გათვითცნობიერებას პროგრამის, მათ შორის სწავლის შედეგების შედეგების შეფასების სფეროში.
 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის,

პროგრამასთან დაკავშირებით დამუშავებულია და პერსონალისთვის მიწოდებულია შესაბამისი მასალები: სასწავლო კურსების შეფასების ფორმები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სასწავლო კურსის შეფასების ანკეტა და სხვ. ხორციელდებოდა პერსონალის ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და განხილვები.

- სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ: სწავლის და სამეცნიერო კვლევის შედეგების შეფასება ხორციელდება თითოეული სასწავლო კომპონენტის მიხედვით, შუალედური და საბოლოო შედეგების შეჯერებით. შესაბამისად, შეფასება ფორმირდება თეორიული, ლაბორატორიული, პრაქტიკული სწავლების წამყვანებისა და სხვა პერსონალის მონაწილეობით. სადოქტორო პროგრამისთვის ბუნებრივია, რომ უმთავრესი შედეგების (სემინარების, დაცვების) შეფასება უზრუნველყოფილია რამდენიმე შემფასებლის - კომისიის, სადისერტაციო კოლეგიის მიერ.
- სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პერსონალის მიერ ხორციელდება სტუდენტებისათვის შესაბამისი უკუკავშირი: სტუდენტებს განემარტებათ თითოეული შეფასება და ამ შეფასების გაუმჯობესების გზები.

➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად:

- მიღწევადია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა სავალდებულო დანართებით (პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა);
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სამიზნე ნიშნულები;
- სტუდენტთა ნაშრომები (ყოფილი მოქმედი პროგრამის დისერტაციები);
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია შრომის ბაზრის კვლევის შედეგების წარმოდგენა სტატისტიკური-

რაოდენობრივი (თვისობრივი) მახასიათებლებით

სასურველია სტუდენტების - მომავალი დოქტორანტების ჩართულობა პროგრამის, კერძოდ საკვლევე თემატიკის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ფართო არიდან გამომდინარე, პროგრამის მულტიდისციპლინარული ხასიათის გათვალისწინებით დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა დაშვებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს გასაუბრების შედეგები პრეტენტენტის ინტერესების, კომპეტენციისა და პოტენციალის ადეკვატური განსაზღვრისთვის.

აპლიკანტს მოეთხოვება უცხოური ენის (ინგლისური) ცოდნის - B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ზემოხსენებული სერთიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდას ახარებს თესაუ-ს ენების ცენტრში, ინგლისურ ენაში (B2 დონე).

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უტარდება გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. გასაუბრების კრიტერიუმები ხელმისაწვდომი ხდება 1 თვით ადრე თესაუ-ს ვებ გვერდის , <http://www.tesau.edu.ge/> მეშვეობით.

მოცემული სადოქტორო პროგრამა სწავლის მიზნებსა და სასწავლო პროგრამის სტრატეგიას მეტწილად პასუხობს, მისი შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, სემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ინტერვიუს შედეგები;

<ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ვებ-გვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“</p>

განხორციელების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი:

სასწავლო კომპონენტი - 30 კრედიტი (არაუმეტეს ერთი სასწავლო წელი).

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას.

- პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული 30 კრედიტი მოიცავს: 10 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსი (10 კრედიტის არჩევა დოქტორანტს შეუძლია გეგმაში წარმოდგენილი 5 სასწავლო კურსიდან) 20 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსი.

- პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური;

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ეტაპებია: კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2 (კოლოკვიუმები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის ეტაპობრივ შედეგებს, არ ფასდება და წინაპირობაა დაცვაზე დასაშვებად. (დეტალურად იხ. დოქტორანტურის დებულება თესაუ-ს ვებ გვერდებზე: www.tesau.edu.ge), წინასწარი დაცვა და დისერტაციის დასრულება და დაცვა.

დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობა არის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა მეექვსე სემესტრის მერვე/მეცხრე კვირაში დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც მიზანშეწონილია შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დოქტორანტურის დებულებაში.

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. „პროფესორის ასისტენტობა“წარმოდგენილია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით. დოქტორანტის პედაგოგიური პრაქტიკის ასეთი სახით ლეგალიზაციის ხერხი რამდენადმე წინააღმდეგობრივია: სილაბუსის

მიხედვით ერთი მხრივ ხსენებულ კურსს უძღვება სილაბუსის ავტორი პროფესორი, ხოლო დატვირთვა სრულდება დოქტორანტის მიერ. თითქოსდა იგივე საათები ითვლება ორი მასწავლებლის დატვირთვად სხვადასხვა სასწავლო კურსებში.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, პროგრამის მიზნების მისაღწევად სასწავლო კურსის, რომელიც მოიცავს პედაგოგიკას ცალკე საგნად გამოყოფა რამდენად არის გამართლებული, შესაძლებელია ისეთი კურსის დამატება, რომელიც გარდა კვლევის მეთოდების შესწავლისა, დოქტორანტს დაეხმარება მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და შედეგების სრულფასოვნად გადმოცემაში, როგორცაა: სტატისტიკური ანალიზი, კვლევის შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი, რაც მიღებული და საჭირო პრაქტიკაა მსოფლიო კვლევებში და რომლის გარეშეც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზი შეუძლებელია.

სასურველია, პროგრამის მიზნების მიღწევისათვის სასწავლო პროგრამის სილაბუსები და კვლევის საკითხები მეტად დაიხვეწოს და მოხდეს თანამედროვე მსოფლიო მეღვინეობის ტენდენციებზე მორგება. კერძოდ კი სავალდებულო სასწავლო კურსებში მოცემული საკითხები და ლიტერატურა შესაძლებელია არ იყოს საკმარისი, რომ პროგრამა გავიდეს სრულ შედეგზე. ასევე ყურადსაღებია, რომ ინოვაციური თანამედროვე მეთოდების შესწავლისათვის სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა მოძველებულია და ნაკლებად მოიცავს საერთაშორისო თანამედროვე გამოცდილებას. კვლევის საკითხების ნაწილი არის ზოგადი და ნაკლებად მოიცავს თანამედროვე ტენდენციებს.

ასევე უსდ-ს მიერ ტენდენციური და ბაზარზე მორგებული კვლევების დაგეგმვა მოიზიდავს დამატებით დაფინანსებას დოქტორანტებისათვის, რომელიც გაწერილი პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით არასაკმარისია ეფექტური და სიღრმისეული კვლევებისთვის.

სადოქტორო პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ მეტი კვლევები ჩატარდეს ქართულ აბორიგენულ ჯიშებზე, ქვევრის ღვინოზე და სხვა აქტუალურ თემებზე.

- პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი,

კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა);

წარმოდგენილია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები.

• უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

დისერტაციის დაცვა ტარდება საჯაროდ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სტუდენტი რომელიც ვერ მოასწრებს შეფასებაზე გასვლას მიმდინარე სემესტრის სესიების ვადებში, ჩაბარების უფლება მიეცემა დამატებითი გამოცდების პერიოდში ან მომდევნო სემესტრში, რისთვისაც მან განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს, შესაბამისად დასკვნითი ან დამატებითი გამოცდების დამთავრებამდე. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია თესაუ-ს ვებ გვერდებზე: www.tesau.edu.ge.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესები წარმოდგენილია დოქტორანტურის დებულებაში და თესაუ-ს ვებ გვერდზე www.tesau.edu.ge

ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა.

თესაუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერდზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სავალდებულო დანართებით (სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის ცხრილი);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დოქტორანტურის დებულება;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- ვებგვერდი;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ სასწავლო კურსების მოცულობა სასწავლო კომპონენტში შეადგენს - 30 კრედიტს (არაუმეტეს ერთი სასწავლო წელი). საიდანაც 10 კრედიტი მოდის არჩევითი სასწავლო კურსზე (10 კრედიტის არჩევა დოქტორანტს შეუძლია გეგმაში წარმოდგენილი 5 სასწავლო კურსიდან) და 20 კრედიტს - სავალდებულო სასწავლო კურსის სახით.</p> <p>დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრებებით გამოიკვეთა, რომ კურსის პროფესორის</p>

ასისტენტობის ფარგლებში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

სამუშაო ჯგუფის პრაქტიკულების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების და/ან ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას (შესაძლებელია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა. რაც მნიშვნელოვანია მომავალი სპეციალისტის დარგობრივი და მეთოდური კომპეტენციების გამომუშავების პროცესში.

დოქტორანტი სემინარის ფარგლებში შესაბამისი დარგიდან იღებს ცოდნას საკუთარი კვლევისთვის საჭირო მომიჯნავე დისციპლინის უახლესი მიღწევების, ტენდენციებისა და შედეგების შესახებ.

ცხადია, რომ კურსი დაეხმარება სტუდენტს, გააცნობიეროს სასმელების ტექნოლოგიაში ახალი ცოდნის შექმნის საჭიროება და შესაძლებლობები.

ამასთან, დოქტორანტი სემინარის თემატიკას ირჩევს დამოუკიდებლად (არა სადისერტაციო თემატიკიდან) და არჩეულ თემატიკას უთანხმებს შესაბამისი დარგის პროფესორს. სემინარის დაგეგმვისა და ეფექტური განხორციელებისთვის გათვალისწინებულია სემინარის განსაზღვრის თემატიკა, შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

გასაუბრებით ცხადად გამოჩნდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზნის შესაბამისად, დოქტორანტის მკვლევარად, ჩამოყალიბებისათვის უსდს აქვს სხვადასხვა ხელშეკრულებები საერთაშორისო ორგანიზებთან, რაც შეუწყობს ხელს სტუდენტების კვლევის უნარების გაუჯობებს.

სადოქტორო პროგრამის შემუშავება მოხდა სხვადასხვა წარმატებული საერთაშორისო და ადგილობრივი უნივერსიტეტების გამოცდილების საფუძველზე, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ზოგიერთი უნივერსიტეტში ისწავლება მხოლოდ საბაკალავრო პროგრამები, მაგალითად: <https://www.southdakotastateuniversity-international.com/programs/undergraduate/> ინდოეთის უნივერსიტეტის პროგრამები ძირითადად მოიცავს სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს თუმცა, სასურსათო ტექნოლოგიები არ არის მათ სიაში, მხოლოდ ქიმია, ბიოინფორმატიკა და ბიოტექნოლოგიაა მსგავსი სასწავლო პროგრამები რომელიც თანხვედრაში შეიძლება იყოს მოცემულ სადოქტორო პროგრამასთან, ინდოეთის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებიდან შესაძლებელი იყო კვლევის დიზიანის შემუშავება, მონაცემების სტატისტიკური ანალიზის ჩატარება და შედეგების ვიზუალიზაცია.

http://unipune.ac.in/university_files/schools_centres.htm

რაც შეეხება ბარსელონას, ბორდოს, სტელენბომის და კლემსონის უნივერსიტეტებს სამივე მათგანს გააჩნია სასურსათო ტექნოლოგიებში სადოქტორო პროგრამები, ბარსელონას და სტელენბომის უნივერსიტეტებს წინასწარ გაწერილი აქვთ კონკრეტული სადოქტორო კვლევის საკითხები რომელიც აქტუალურია და ასევე მორგებულია ბაზრის მოთხოვნებს და უნივერსიტეტების კომპეტენციას და გამოცდილებას. მაგალითად ბორდოს უნივერსიტეტს გააჩნია 14 პარტნიორი კვლევითი უნივერსიტეტი რომელსაც იყენებს კვლევებისათვის.

<https://www.uab.cat/web/postgraduate/phds/all-phd-programmes/research-and-supervision/lines-of-research-and-thesis-supervision/food-science-1345467765236.html?param2=1345657422493>

<https://scholar.sun.ac.za/handle/10019.1/575>

<https://www.clemson.edu/cafls/food-nutrition-packaging-sciences/research/index.html>

რაც შეეხება სასწავლო პროგრამას სასურველია, რომ სავალდებულო ნაწილს დაემატოს ბიოტექნოლოგია, ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სასმელების ტექნოლოგიის თანამედროვე ტენდენციები და კვლევის დიზაინი და კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი, მსგავსი კურსი გათვალისწინებულია ბევრ სხვა სადოქტორო პროგრამებში - მაგალითად ავსტრალიის უნივერსიტეტი დოქტორანტებს ეხმარება აიმაღლონ კომპეტენცია და უნარი კვლევის დაგეგმვაში, მათ სწორად წარმოდგენაში და მონაცემების ანალიზში. https://www.awri.com.au/research_and_development/2017-2025-rde-plan-projects/

<https://gaia.umontpellier.fr/>

აღნიშნულ უნივერსიტეტებში დოქტორანტები გადიან სპეციალურ ტრენინგებს ისეთ საკითხებში რომლებიც დაეხმარებათ ჩაერთვნენ კვლევაში და თეზისის წერაში.

სადოქტორო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სასურველია ბიოტექნოლოგიის, მიკრობიოლოგიის და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო სტატისტიკური ანალიზის კურსების დამატება, რაც მომავალ მკვლევარებს დაეხმარებათ სწორად დაგეგმონ კვლევები და კვლევის შედეგების ვიზუალიზაცია შეძლონ.

კვლევითი კომპონენტის განხორციელების ეტაპებია: კოლოკვიუმი -1, კოლოკვიუმი -2 . წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.

კოლოკვიუმები ასახავს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, კრედიტი არ ენიჭება და არის სავალდებულო წინაპირობა დოქტორანტის დაცვაზე დასაშვებად.

სადისერტაციო ნაშრომის შესრულება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მესამე საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემაში მოყვანა და კონკრეტული სამეცნიერო ამოცანის დასაბუთებული გადაწყვეტა.

საორიენტაციო კვლევის თემატიკა მრავალფეროვანია და იძლევა მემორანდუმებით გაფორმებულ საწარმოებში კვლევის ჩატარების შესაძლებლობას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს მიერ მოწოდებული მემორანდუმების ნაწილი ვადაგასულია და გასაახლებელია.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კურსების ლიტერატურა მოითხოვს განახლებას. მაგალითად: კვლევის მეთოდები სასმელების ტექნოლოგიაში, გამცემული ლიტერატურის უმეტესობა მოდის - 2011/15 წლებზე.

სასმელების ბიოტექნოლოგიის კურსში წარმოდგენილი/გამოყენებული ლიტერატურის გამოცემის წლები 2007, 2009, 2010 .

უმაღლესი სკოლის პედაგოგიაში გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის უმეტესობა -2012, 2013 წლებია,

ნახშირწყლების ქიმიკაში ძირითადი ლიტერატურა:-2006, 2010 წლებია.

შესაბამისად, საურველია მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება და უახლესი გამოცემებით შევსება.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კომპონენტის ერთ-ერთი ძირითადი კურსის „პროფესორის ასისტენტობა“ თემატიკა შესაძლებელია ჩაეშენოს სხვა კურსებს ან სავალდებულო კურსების ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ბლოკში, იმ სტუდენტებისათვის, ვისაც აქვს გარკვეული საჭიროებები ამ მიმართებით.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა ლიტერატურა მოითხოვს განახლებას, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით.

ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მეტწილად მათი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კომპონენტის კრედიტების

რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო სჭირდება საშუალო მოსწრების სტუდენტს კონკრეტული კომპონენტის ასათვისებლად.

წარმოდგენილი სილაბუსები საჭიროებს დახვეწას, ასევე მითითებული ლიტერატურის უმეტესობა არის მოძველებული, ცალკეული მოდულების მიხედვით მოცემულია რეკომენდაციები და რჩევები:

სილაბუსი (სავალდებულო) - თემატური სემინარები

თემატურ სემინარებში არ არის ჩამოწერილი სემინარების სავარაუდო თემატიკა, რომელიც გაწერილია სასწავლო პროგრამაში.

სილაბუსი (სავალდებულო)- კვლევის მეთოდები სასმელების ტექნოლოგიაში.

სილაბუსში მეცადინეობის გეგმაში მითითებულია 2016 წელი

თემა I. კვლევის მეთოდების ზოგადი პრინციპები, განმარტებები და ანალიტიკური მეთოდების კლასიფიკაცია.

მითითებული ლიტერატურა:

1. მნელაძე, დ., (2011). ბიოტექნოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები, თბილისი

მოცემული ლიტერატურა გამოიყენება სამაგისტრო და საბაკალავრო სტუდენტებისათვის

2. ლაფერაშვილი, ქ., ქუჩუკაშვილი, ზ., (2011) სურსათის უვნებლობა და ხარისხი, თბილისი

მითითებული ლიტერატურა შეუსაბამოა, სურსათის უვნებლობა არ არის სასწავლო სახელმძღვანელო, იგი მოიცავს გარკვეულ ნორმებს რომელიც უნდა დაიცვას სურსათის ტექნოლოგმა მიკვლევადობის დოკუმენტირებით.

სასურველია დაემატოს დამატებითი ლიტერატურიდან შემდეგი ლიტერატურა:

Introduction to Wine Laboratory Practices and Procedures. Library of Congress Control Number: 2005928372 ISBN-10: 0- 387-24377-1 e-ISBN 0-387-25120-0 Printed on acid-free paper. ISBN-13: 978-0387-24377-1 © 2006 Springer Science+Business Media, Inc.

თემა II. ფიზიკური ანალიზის მეთოდები: სიმკვრივე და ხვედრითი წონა, შაქრის კონცენტრაცია, მშრალი ნივთიერების განსაზღვრა, დანაცრება, ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი, ქრომოტოგრაფიული მახასიათებლები, სიმღვრივე, შეტივნარებული ნაწილაკები, ფოლინ-ჩოკალტეუს ინდექსი, იზოტოპური მეთოდი, დაქუცმაცებული მუხის ნაწილაკების სიდიდე.

სავალდებულო ლიტერატურა: 1, 3, 4

1. INTERNATIONAL ORGANISATION OF VINE AND WINE COMPENDIUM OF INTERNATIONAL METHODS OF WINE AND MUST ANALYSIS EDITION 2018 VOLUME 1 INCLUDED: Resolutions adopted in Sofia (Bulgaria) 15 th A.G. – 2nd June 2017 OIV - 18, RUE D'AGUESSEAU - 75008 PARIS

მიითთებული ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, ბოლო პერიოდში უკვე მოცემულია საიტზე 2020 წლის გამოცემა.

შემოთავაზებული ჩასწორება: INTERNATIONAL ORGANISATION OF VINE AND WINE COMPENDIUM OF INTERNATIONAL METHODS OF WINE AND MUST ANALYSIS EDITION 2018 VOLUME 1 INCLUDED : Resolutions adopted in Sofia (Bulgaria) 15 th A.G. – 2nd June 2017 OIV - 18, RUE D'AGUESSEAU - 75008 PARIS

ამ თემისათვის ასევე სასურველი იქნება დამატებითი ლიტერატურის ჩასმა, როგორცაა: Ribéreau-Gayon, P., Dubourdieu, D., Donèche, B., & Lonvaud, A. (Eds.). (2006). Handbook of enology, Volume 1: The microbiology of wine and vinifications (Vol. 1). John Wiley & Sons.

Ribéreau-Gayon, P., Glories, Y., Maujean, A., & Dubourdieu, D. (2021). Handbook of Enology, volume 2: The chemistry of wine stabilization and treatments. John Wiley & Sons.

Introduction to Wine Laboratory Practices and Procedures. Library of Congress Control Number: 2005928372 ISBN-10: 0- 387-24377-1 e-ISBN 0-387-25120-0 Printed on acid-free paper. ISBN-13: 978-0387-24377-1 © 2006 Springer Science+Business Media, Inc.

თემა III. ანალიზის ქიმიური მეთოდები: ორგანული ნაერთები-ნახშირწყლები: 1. შაქარი - აღმდგენი ნივთიერებები; რედუცირებული შაქრები(გამჭვირვალობით) რედუცირებული შაქრები (ტიტრომეტრია);

გლუკოზა და ფრუქტოზა (ფერმენტული მეთოდი)

- შაქრის დოზირება სითხური ქრომატოგრაფიით

- საქაროზის დამატება

- დეიტერიუმის განსაზღვრა ეთანოლის მოლეკულაში ყურძნის ტკბილში და კონცენტრირებული ტკბილისაგან მიღებულ ღვინოში მაგნიტურ ბირთვული რეზონანსის გამოყენებით

- შაქრისგან მიღებული პოლიოლები-გლიცეროლი, ეთანოლი- ღვინის წარმოებაში თხევადი ქრომატოგრაფიით

- გლუკოზა, ფრუქტოზა და საქაროზა (pHmetry)

- გლუკოზის იზოტოპური კოეფიციენტების დადგენა 13C / 12C-იზოტოპის თანაფარდობასთან ერთად მასის სპექტრომეტრია

ძირითადი ლიტ.1, 3, 4

შემოთავაზებული ჩასწორება: INTERNATIONAL ORGANISATION OF VINE AND WINE COMPENDIUM OF INTERNATIONAL METHODS OF WINE AND MUST ANALYSIS EDITION 2018 VOLUME 1 INCLUDED : Resolutions adopted in Sofia (Bulgaria) 15 th A.G. – 2nd June 2017 OIV - 18, RUE D'AGUESSEAU - 75008 PARIS

ამ თემისათვის ასევე სასურველი იქნება დამატებითი ლიტერატურის ჩასმა, როგორცაა: Ribéreau-Gayon, P., Dubourdieu, D., Donèche, B., & Lonvaud, A. (Eds.). (2006). Handbook of enology, Volume 1: The microbiology of wine and vinifications (Vol. 1). John Wiley & Sons.

Ribéreau-Gayon, P., Glories, Y., Maujean, A., & Dubourdieu, D. (2021). Handbook of Enology, volume 2: The chemistry of wine stabilization and treatments. John Wiley & Sons.

Introduction to Wine Laboratory Practices and Procedures. Library of Congress Control Number: 2005928372 ISBN-10: 0- 387-24377-1 e-ISBN 0-387-25120-0 Printed on acid-free paper. ISBN-13: 978-0387-24377-1 © 2006 Springer Science+Business Media, Inc.

თემა IV. ანალიზის ქიმიური მეთოდები: ორგანული ნაერთები-სპირტები: ალკოჰოლის სპირტშეცველობა

- მეთანოლი (GC)
- მეთანოლი (ფერიმეტრია)
- გლიცეროლი და 2,3- ბუტანდიოლი
- ეთანოლის იზოტოპური თანაფარდობის დადგენა

ლიტერატურა 8 - FOODS J. Mauricio Penarrietaabc, J. Antonio Alvaradoa*- SPECTROPHOTOMETRIC METHODS FOR THE MEASUREMENT OF TOTAL PHENOLIC COMPOUNDS AND TOTAL FLAVONOIDS IN, Bjo[rmn Bergensta[m]hlc and Bjo[rmn A[m]kessonb a Instituto de Investigaciones Qu[im]icas, Universidad Mayor de San Andre[s], La Paz, Bolivia, b Biomedical Nutrition, Pure and Applied Biochemistry, Lund University , Lund, Sweden, c Food Technology, Lund University, Lund, Sweden *Corresponding author: jaalvki@gmail.com Key words: Andean foods, bioactive compounds, antioxidants, total phenolics compounds (TPH), total flavonoids (TF)

მოიცავს ფენოლური ნაერთების განსაზღვრას რაც შეუსაბამოა მოცემულ საკითხებთან

თემა V. ანალიზის ქიმიური მეთოდები: ორგანული ნაერთები: მჟავები(საერთო მჟავიანობა;არასტაბილური მჟავიანობა ფიქსირებული მჟავიანობა;

- ორგანული მჟავები: HPLC (რემჟავა,ლიმონმჟავა - ქიმიური და ფერმენტული მეთოდით);
- სორბინის მჟავა (სპექტროფოტომეტრია და ელექტროფორეზი);
- pH;
- ორგანული მჟავა: იონური ქრომატოგრაფი;
- ორგანული მჟავები და სულფატები (კაპილარული ელექტროფორეზი);
- სორბინის, ბენზოინის, სალიცილის მჟავების,მეტატარტოზური მჟავა ,L-ასკორბინის მჟავისა და D- იზო-ასკორბინის მჟავის განსაზღვრა ქრომატოგრაფიის მეთოდით

სავალდებულო ლიტ. 3,8,4

შემოთავაზებული ჩასწორება: INTERNATIONAL ORGANISATION OF VINE AND WINE COMPENDIUM OF INTERNATIONAL METHODS OF WINE AND MUST ANALYSIS EDITION 2018 VOLUME 1 INCLUDED : Resolutions adopted in Sofia (Bulgaria) 15 th A.G. – 2nd June 2017 OIV - 18, RUE D'AGUESSEAU - 75008 PARIS

ლიტერატურა 8 შეუსაბამოა. FOODS J. Mauricio Penarrietaabc, J. Antonio Alvaradoa*- SPECTROPHOTOMETRIC METHODS FOR THE MEASUREMENT OF TOTAL PHENOLIC COMPOUNDS AND TOTAL FLAVONOIDS IN, Björn Bergenstahlc and Björn Åkessonb a Instituto de Investigaciones Químicas, Universidad Mayor de San Andrés, La Paz, Bolivia, b Biomedical Nutrition, Pure and Applied Biochemistry, Lund University , Lund, Sweden, c Food Technology, Lund University, Lund, Sweden *Corresponding author: jaalvkir@gmail.com Key words: Andean foods, bioactive compounds, antioxidants, total phenolics compounds (TPH), total flavonoids (TF) მოიცავს ფენოლური ნაერთების განსაზღვრავს რაც შეუსაბამოა მოცემულ საკითხებთან

თემა VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII

თემებზე მითითებული ლიტერატურის გარდა სასურველი იქნება დაემატოს ასევე:

Ribéreau-Gayon, P., Dubourdieu, D., Donèche, B., & Lonvaud, A. (Eds.). (2006). Handbook of enology, Volume 1: The microbiology of wine and vinifications (Vol. 1). John Wiley & Sons.

Ribéreau-Gayon, P., Glories, Y., Maujean, A., & Dubourdieu, D. (2021). Handbook of Enology, volume 2: The chemistry of wine stabilization and treatments. John Wiley & Sons.

Introduction to Wine Laboratory Practices and Procedures. Library of Congress Control Number: 2005928372 ISBN-10: 0- 387-24377-1 e-ISBN 0-387-25120-0 Printed on acid-free paper. ISBN-13: 978-0387-24377-1 © 2006 Springer Science+Business Media, Inc.

Carrascosa, A. V., Muñoz, R., & González, R. (Eds.). (2011). Molecular wine microbiology. Cham,

Switzerland: Elsevier.

ასევე სასურველია, ლიტერატურის მითითებისას პროფესორმა შეარჩიოს რომელიმე ლიტერატურის მითითების სტილი და დაიცვას იგი. ზოგიერთი ლიტერატურა არ არის სრულყოფილად მითითებული და შეცდომითაა მოცემული (მაგალითად შეირცეს სტილი APA და ყველა მითითებული ლიტერატურა იყოს ერთ სტილში დაწერილი).

სავალდებულო ლიტერატურა 9, 10, 11 საერთოდ არ არის სილაბუსში მითითებული.

არჩევით სასწავლო სილაბუსებშიც დამატებითი ლიტერატურა ნაწილობრივ არ არის სწორად წარმოდგენილი, ან არის მოძველებული და საჭიროებს განახლებას, ან კიდევ არის არასამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა ან არ შეესაბამება სადოქტორო პროგრამის მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა და მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება შესაბამისი დარგის უახლესი გამოცემების შესაბამისად.
- პროფესორის ასისტენტობის კურსის თემატიკა ჩაეშენოს სხვა კურსებს ან სავალდებულო კურსების ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ბლოკში იმ სტუდენტებისათვის, ვისაც აქვს გარკვეული საჭიროებები ამ მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამის სილაბუსები და საერთაშორისო გამოცდილებაზე მოხდეს ორიენტირი, გასათვალისწინებელია მითითებული საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება და სადოქტორო პროგრამების სპეციფიკა.
- სასურველია ლიტერატურის მითითების ტექნიკა დაიხვეწოს და შეირჩეს ერთი სტილი რომელსაც ყველა პროფესორი შეძლებს, რომ დაიცავს.
- სასურველია ლიტერატურას დაემატოს, განსაკუთრებით კი არჩევით საგნებში,

<p>თანამედროვე ტენდენციების საკითხებში ბოლოდროინდელი კვლევები, რომელიც ონლაინ სამეცნიერო პლატფორმებზეა, ეს ეხება განსაკუთრებით ქვევრის ღვინოებს, რომელზედაც ბოლო პერიოდში დაწყებულია საერთაშორისო ასპარეზზე კვლევების ჩატარება.</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსში (სავალდებულო) „კვლევის მეთოდები სასმელების ტექნოლოგიაში“ ,დაემატოს მონაცემთა დამუშავების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები. სადოქტორო თეზისის მომზადებისას სტუდენტი მუშაობს დამოუკიდებლად, ატარებს ექსპერიმენტებს, ასევე ჩართულია სემინარების შემუშავებაში და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში. ასევე</p>

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ERASMUS + გაცვლით პროგრამებში სადაც შეუძლია აითვისოს მისთვის საჭირო უნარები და პრაქტიკული გამოცდილება გააძლიეროს.

წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომების შემუშავებისას დაცულია უნივერსიტეტში არსებული სტანდარტი და ასევე საერთაშორისო მოთხოვნებით. თეზისების საკითხები არის აქტუალური და ბაზართან შესაბამისი. უმეტესობა ნაშრომის შეესაბამება დღევანდელ მეღვინეობის აქტუალურ საკითხებს.

- პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას;

სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების ინტეგრირებას.

- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;

სადოქტორო თემის მომზადებისას სტუდენტი ატარებს დამოუკიდებელ ექსპერიმენტს სასმელების ტექნოლოგიის სფეროში, კვლევას ატარებს მის მიერ მოდიფიცირებული კვლევითი მეთოდების გამოყენებით, რომელიც ახდენს დოქტორანტის კვლევითი უნარების კომბინირებას. სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება სტუდენტი, თუ მას არ აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და მონაწილეობა არ აქვს მიღებული სამეცნიერო კონფერენციაზე, შესაბამისად დოქტორანტი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. თესაუ-ში ყოველ წელს ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სადაც დოქტორანტებს ეძლევა შესაძლებლობა გააკეთონ მოხსენება მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო სამუშაოების შესახებ.

- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;

სადისერტაციო ნაშრომის შესრულება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მესამე საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო ამოცანის/ების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაგეგმვისა და განხორციელების ფლობის დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში დოქტორანტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს დარგის გამოცდილი პროფესორი.

პროგრამის მოთხოვნით დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში; სრულად უნდა პასუხობდეს დარგის უახლეს გამოწვევებს.

- დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას;

აღნიშნული კრიტერიუმები ბუნებრივად სრულდება დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტთა შეზღუდული რიცხვით, პროგრამის მხარდამჭერ საწარმოთა სპეციფიკით და მდიდარი რესურსებით, მათი მენეჯმენტის დაინტერესებით პროგრამის მიზნებითა და შედეგებით. სასურველია მემორანდუმებში მეტად იყოს ხაზგასმული საწარმოთა მიერ პროგრამის მხარდაჭერის მზაობა დროის დაშორებულ პერსპექტივაშიც, რაც აძლიერებს პროგრამის მდგრადობის ტენდენციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- თესაუ -ს სამეცნიერო კონფერენციის მასალები
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

სტუდენტებთან ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია მემორანდუმებში მეტად იყოს ხაზგასმული საწარმოთა მიერ პროგრამის მხარდაჭერის მზაობა დროის დაშორებულ პერსპექტივაშიც, რაც აძლიერებს პროგრამის მდგრადობის ტენდენციას.

სასურველია, რომ განახლდეს ყველა მემორანდუმი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციითა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებებით იკვეთება, რომ სილაბუსებში მოყვანილი სწავლების ფორმები, სწავლა-სწავლების მეთოდები, აქტივობები, შეფასების ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

საკმაოდ მაღალი ხარისხით არის წარმოდგენილი სტუდენტისათვის პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული სწავლება-სწავლის მეთოდები. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები რელევანტურია კურსის სპეციფიკასთან, პასუხობს შინაარსს, სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა დაგეგმილ აქტივობაში.

მაგალითად: კურსში - კვლევის მეთოდები სასმელების ტექნოლოგიაში, სტუდენტის სწავლებისას გამოიყენება სწავლების მეთოდი - ლაბორატორიული სამუშაო, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია დოქტორანტის კვლევითი უნარების განვითარების პროცესში.

თემატურ სემინარში მოცემულია წყაროებზე მუშაობის მეთოდი, რაც მნიშვნელოვანია ნაშრომის მომზადების პროცესში და სხვა.

კურსში პროფესორის ასისტენტობა: დოქტორანტი ასისტენტობის შუალედური ქულების მისაღებად წინასწარ წარუდგენს პროფესორს კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი კურიკულუმის მოდიფიცირებულ ვარიანტებს, ატარებს საჩვენებელ ლექციას, რომელიც ფასდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, საბოლოო შეფასებისას კი გამოყენება: პორტფოლიო - პორტფოლიო/40 ქულ. შეფასებას ახორციელებს დეპარტამენტში სპეციალურად შექმნილ კომისია, რომელს შემადგენლობაში შედის: პროგრამის ხელმძღვანელ, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ და დრგის სპეციალისტები.

ასევე კარგად აქვთ დოქტორანტურის დებულებაში წარმოდგენილი დოქტორანტის მიერ შესასრულებელი კოლოქვიუმი, სადაც დოქტორანტი იღებს განმავითარებელ შეფასებას, რაც მნიშვნელოვანია დოქტორანტის მომზადების პროცესში, გასაუბრებისას ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან გამოიკვეთა, რომ ეს კომპონენტი არ ფასდება კრედიტებით, მიმართულია სტუდენტის მიერ მუშაობისას მისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისათვის, რისთვისაც დოქტორანტს ეძლევა განმავითარებელი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ პროგრამაში კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები კორელაციაშია სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“ ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ინტერვიუები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, დამუშავებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.

შეფასების თითოეულ ფორმაში, როგორც შუალედურ, ასევე დასკვნით შეფასებაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის, შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადების შემდგომ. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ

შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტთა შეფასება სასწავლო კურსის შინაარსისა და მახასიათებლების გათვალისწინებით არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.

ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

დაწესებულებაში საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია - სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის, მისი დასრულებისა და დაცვის წესები და პირობები. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის შედეგს. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი და პირობები გამჭვირვალე და კანონთან შესაბამისია. ნაშრომის დასრულება და დაცვა კვლევითი კომპონენტის დასკვნითი ნაწილია. დაცვა საჯაროა და ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი შიდასამართლებრივი აქტებით გაწერილი რეგლამენტის საფუძველზე.

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია - სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის, მისი დასრულებისა და დაცვის წესები და პირობები.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებია:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც

წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს. დისერტაციის დასრულება და დაცვა კვლევითი კომპონენტის დასკვნითი ნაწილია. დასრულებული დისერტაცია არ უნდა შეიცავდეს პლაგიატს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის - ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, დამუშავებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, სტუდენტებისათვის გამჭვირვალეა და გასაგებად არის აღწერილი. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულებაში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, ელექტრონული

ფოსტა, დაწესებულების ვებ-გვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და აღნიშნულ რესურსებს სწავლის/კვლევის პროცესში სათანადოდ არ იყენებენ. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის/კვლევის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში, გააჩნია წარმატებული სტუდენტების წამახალისებელი მექანიზმები. დაწესებულება უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადა არის გამოყოს დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის კვლევის დასაფინანსებლად/თანადასაფინანსებლად. დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის პრაქტიკა, ჩართულია "ერაზმუს +" -ის პროგრამაში, ყავს საზღვარგარეთის პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებები. თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებსა და აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით სამეცნიერო აქტივობებში. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე უწყვეტი ინფორმაციის მიწოდებას; კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას. დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, დაწესებულებას ასევე აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და ყავს საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციები და შესაბამისად აქვს საერთაშორისო გაცვლით კვლევით აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენების პრეცედენტი სტუდენტებთან მიმართებით უნდა გაიზარდოს და გახდეს მეტად პრიორიტეტული. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე თანამედროვე

კვლევითი აქტივობების უზრუნველსაყოფად, ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, მათ შორის, გაცვლითი კვლევითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი თუ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების/საგრანტო პროგრამებისა და მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +" -ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით კვლევით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა, დებულება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- პროგრამის სილაბუსები;
- ხელშეკრულებები და მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება;

დაწესებულების ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს/შეიმუშაოს სტრატეგია საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლების/კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
- უსდ-დ მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო სალიტერატურო ბაზების

სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
<p>უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, დამუშავებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:</p> <p>-სადოქტორო პროგრამაზე სასწავლებლად მიღებულ სტუდენტებს, სადისერტაციო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში უხელმძღვანელებენ დაწესებულების პროგრამის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები.</p> <p>- გარდა ამისა, დაწესებულება თითოეულ სტუდენტს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.</p> <p>- უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა</p>

აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ სტუდენტს ნაშრომზე მუშაობისას.

- დოქტორანტურის დებულების თანახმად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოქტორანტურის დებულებაში გაწერილია დოქტორანტურის სტუდენტის ხელმძღვანელის არჩევის წესი და პირობები, ხელმძღვანელი პირის უფლება-მოვალეობები.

